ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №19
2021 წლის 30 დეკემბერი

დაბა ლენტეხი

2022 წლისთვის ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა,პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ვ“ და „დ.ე“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

დამტკიცდეს ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობა 2022 წლისთვის დანართი 1-ის მიხედვით.

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა რანგირების, საშტატო ნუსხის დამტკიცების და თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ'' ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 30 დეკემბრის №15 დადგენილება (www.matsne.gov.ge, 010260020.35.115.016324, 01/01/2021 წ.).

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს 2022 წლის 1 იანვრიდან.

ლენტეხის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი გაზდელიანი

დანართი №1

ლენტეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკურ თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობა 2022 წლისთვის

N	თანამდებობის დასახელება	საშტატო რიცხოვნება	თანამდებობრივი სარგო (ლარში)
1	საკრებულოს თავმჯდომარე	1	4500
,,2"	საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე	1	2900
,,3"	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	2	2600
3	კომისიის თავმჯდომარე	5	2400
4	ფრაქციის თავმჯდომარე	3	2200
5	ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	5	1700
	I რანგი (მაღალი მმართველობითი დონე)		
	საკრებულოს აპარატის უფროსი -		
6	პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	1	2200

	II I რანგი (უფროსი სპეციალისტი)		
7	მთავარი სპეციალისტი - მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	6	1300
	IV რანგი (უმცროსი სპეციალისტი)		
8	წამყვანი სპეციალისტი - პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი	2	1100
	ჯამი	26	